# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:

წლიურათ . . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . . 3 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 160

წელიწადი მეორე

1913

შაბათი, 8 ოკტომბ.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „И М Е Р Е Т И".

ტელეფონი № 149.



მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისთვის ყოველდღიურ გაზეთზე

წელიწადი მეორე

1913

## იმერეთი

გაზეთის ფასი:

ერთი წლით . . . 7 მანეთი,
ნახევარი წლით . . . 4 მანეთი.
ერთი თვით. . . . 4 აბაზი.
და ცალკე ნუმრის . . 1 შაური,

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა—სამი მანეთი.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით პწკარი ღირს 3 შაურათ მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.

გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ редакція газеты „ИМЕРЕТИ"

სხვანაირათ გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.


კნ. პუპი ალექსანდრეს ასული აბაშიძისა ძმის შვილებითა და დისწულებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ თავის საყვარელი დის

## კნ. ალათი ალექსენდრეს ასულის
## მაჭუტაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველდღე საღამოს $5^1/_2$ საათზე. ბალახვანის ქ., სახლი იოსებ ბაქრაძის. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.


## პირდაპირ ნახევარ ფასათ იყიდება!

...ლოთ მიღებული საქონლები პირველი ღირსებ...ს, რუსეთისა და საზღვარგარე...ის საუკეთესო ქარხნებიდან და უკანასკნელი მოდის. გაყიდვა დაიწყება დღეიდან ...კლე ვადით ქ. ქუთაისში ბულვარის პირდაპირ, ძმ. ოცხელების შე...ობაში, ახვლედიანის მაღაზიის უკანა განყოფილებაში, სადაც იყიდება შემდეგი ...ლათ მიღებული საქონლები: კაცის ყოველნაირი მშვენიერი კასტიუმი, 5 მან. ...იწყება ფასი და ამას ზევით, რა ფასიანიც ესურვებათ; კაცის, ქალისა და ბავშე...ს ყოველნაირი პალტოები ზამთრისათვის, საშემოდგომო და საზაფხულო, კაცის ...არვლები და პიჯაკები, ფეხსაცმელები ქალის, კაცისა და ბავშვის საუკეთესო ...ირმების მრავალგვარი, ...ეწვის მუფთები ქუდები და შალები ლაზლის მრავალ...არი, აბრეშუმის იუბკები დიდი ასარჩევი, შალის კაბის ქვედა წელები, ზედა...ლები და ზედაწელის მატერიები ნაქრობით: კალოშები, კაცის ქალის და ბავშვების, ...ედიკულები, ალბომები, სარკეები და ქალის და კაცის, ქამრები და საქამრე რე...ნები, ყოველნაირი რეზინა შემოსაჭერისათვის და აგრეთვე მზა შემოსაჭერი ...ლთა და ბავშთათვის. კორსეტები და სხვა. ამასთანავე მოვახსენებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ

...ვლედიანის მაღაზიაში არის მიღებული დიდძალი ყოველნაირი ახალმოდის საქონელი ...ა მზა ტანისამოსი, ფეხსაცმელი კაცის, ქალის და ყმაწვილების და ასეთებს ...ვლებულობთ ყოველდღე. ფასები ხელმისაწდომია და უვიჭროთ.

პატივისცემით ა. ახვლედიანი. № 3.

## მევენახეთა საყურადღებოთ!

1913 წლის ღვინის მოსავლს თითქმის ნახევარზე მეტი დააკლდა ...ლევების, ცუდი ადაპტაციისა და რუპესტრის დიუ ლო-ს ხმარების გამო. ...ამერიკული ვაზის სანერგე „კლდე ქვიშული" ქუთაისში ...თადერთი სანერგე, რომელიც ამყნობს ხსვადასხვა ვაზზე ყველა ნაი...ი ნიადაგის მიხედვით შესაფერი ჯიშის ვაზებს. დამზადებული აქვს ...ასასყიდათ 1913—14 წლ. 35,000 ცოლიკოური, 40,000 კრახუნა, ...,000 ციცკა, 12,000 ანდასაული. 10,000 მწვანე, 32,000 რქაწითელი, 12,000 ...ალობლიშვილის, 8000 ოცხანური, 35,000 საფერავი, 25,000 ალი...ოტ, 8000 რისლინგი, 10,000 პინო, 25,000 სემილიონი 42,000 კაბერნე, ...,000 ფოს—ბლანში, 28,000 გამე თეთრი და შავი და 80,0000-ზე მე...ი სხვადასხვა საუკეთესო საჭმელი ჯიშის ვაზი „ლო"-ზე დამყნილი, ...309 101—14, 1202 420 A. ფასი საღვინე ვაზებისა 65 მან. 1000 ...ი საჭმელისა—80 მან. კანტორა იმყოფება მიხეილის ქუჩაზე მძ. ...ოკიელის სახლში ვ. ტიეგო.

...აქვს პატივი ვაუწყოთ ქუთაისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ თფილისის ...აზე ქალაქის აფთიაქის გვერდით, ჩვენ, ძმ. გრიგოლაშვილებმა მოვაწყვეთ ახალი რესტორანი

## ფაზისი,

...აც შეიძლება იშოვოთ ახალი სანოვაგისაგან გაკეთებული საუზმე, სადილი და ...შამი ქართული და ევროპიული იაფ-ფასათ; ყოველგვარი ღვინო, ტკბილი სასმელი და ცივი მინერალური წყალი.

რესტორანში დაცულია სიწმინდე და თავაზიანი მოპყრობა მოსამსახურეების

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში ახალი სალიტერატურო—სამეცნიერო კრებული

## „ბეირბეინი"

1. შოთა რუსთაველი, გრ. რობაქიძისა.
2. სუმერული და ქართული, მ. წერეთლისა.
3. ოიდიპოს მეფე, თარგმ. ბერძნულით ზ. ქავთარაძისა.
4. მეფე-მგოსანი, სანდრო შანშიაშვილისა.
5. ღამე, ს. ფირცხალავასი.
6. გლოვის ზარი, მისივე.

1—3.

## ქ უ თ ა ი ს ი

პირველი კერძო სამკურნალო სპეციალისტი აქიმებით.

## მუდმივი საწოლებით

### თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:

დ ი ლ ი თ.

| | |
|---|---|
| დ. ი. ჯაფარიძე—ყელის, ცხვირის, ყურისა და შინაგ. | 8—10 |
| გ. ს. ნადირაძე—შინაგანი და ბავშის | 10—12 |
| ა. ა. რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო | 11—12 |
| მ. დ. ბეთანოვი—კანის, ათაშანგი, ვენერ. | 12—2 |
| გ. ა. ჭოლოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ. | $12^1/_2$ 2 |

ს ა ღ ა მ ო თ.

| | |
|---|---|
| გ. დ. ქორქაშვილი—თვალის | $4^1/_2$—$5^1/_2$ |
| გ. ა. ჭოლოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ. | $5^1/_2$—$6^1/_2$ |

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—სანიტარო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, აპერაცია და კონსულტაცია მორიგებით 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. აქიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი 140 №

სამკურნალოს დირექტორი—გ. ა. ჭოლოშვილი. წ.

ვინც თუთუნს ეწევა, ვსთხოვთ, მიაქციოს ყურადღება ახლათ გამოსულ პაპიროზებს

## ირისი

25 ცალი 3 შ. / 10 — 6 კ. იყიდება როგორც სხვა ქალაქებში ისე ქუთაისშიც.

პაპიროსები საუკეთესო ხარისხის თათრული თუთუნისაა, სასიამო სუნითა და საუცხოო გემოვნებით.

თუთუნის ქარხანა ძმათა სეილანოვებისა.

თ ფ ი ლ ი ს შ ი.

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი.

### მ. გალანჩიკაძისამ

კვლავ განაახლა ავათმყოფების მიღება ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებსა და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას, აგრეთვე ვუცრი ყვავილსაც. გენერლის ქუჩა, აქიმის ს. ლორთქიფანიძის სახლი. თ.

**აქიმი** ა. თ. ტყეშელაშვილი. ღებულობს ავათმყოფებს (შინაგანი, ვენერიული, კანის) ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში. თ.

**აქიმი** გ. ა. შეიფარიანი. ღებულობს შინაგანი, ბავშებისა და ვენერიულ ავათმყოფებს. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—7 საათ. თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი № 30. თ.

**აქიმი** ი. ჩარექოვი იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე. მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს აქიმი საავათმყოფოშია.

მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

**აქიმი** ვ. ა. ნემსაძე ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშუადღევის 3—6 საათ. თფილისის ქუჩა, ჯორჯიკიას სახლი. თ.

## სამტრედიის სამზითვო კასის „ქორწილი"-ს

წევრათ ჩაწერა ქუთაისში შეიძლება ბარნაბა ახვლედიანთან: მეორე ალექსანდრეს ქ., სახლი №44.

## Предостереженіе.

От Кефирнаго Заведеія о. Корона

Довожу до свѣдѣнія почтеннѣйшей публики, что въ Кутаисѣ временно прекратила свое производство Кефира и Мацони и на зиму таковое перенесла въ Сухумѣ.

Прошу остерегаться поддѣлокъ и подражателей.

Съ почтеніемъ О. Корона.


## ბეილისის საქმე და ებრაელები.

ერის ტრაგედია.

რუსეთში რაც რამე უბედურება მოხდა, ყველაფერი ებრაელებს დაბრალდა:

რუსეთ-იაპონიის ომში ჩვენი დამარცხება ებრაელებმა მოახერხეს...

რევოლუცია ებრაელებმა მოახდინეს...

შიმშილი და ხალხის სიღატაკე ებრაელებმა გამოიწვიეს...

თუ ვინმე დაიკარგა ან სადმე მკვდარი იპოვეს—ებრაელების საქმე გონიათ...

კავკავის რკინის გზაზე ამას წინათ მომხდარი უბედურებაც კი მათი ბრალი ყოფილა... არა გჯერათ? „მემარჯვენე ფრაქციას სათათბიროში ამ კატასტროფის შესახებ შეკითხვა შეაქვს, სადაც უნდა დაამტკიცოს, რომ მომხდარ უბედურებაში ბრალი ებრაელ მოიჯარადრებს „ედებათ",—ამას გვეუბნება გაზეთებში მოთავსებული დეპეში.

ახლა კიევში ბეილისის საქმე ირჩევა. მთელი კულტურული ქვეყნიერების ყურადღება ამ საქმისკენ არის მიქცეული...

მეოცე საუკუნეში ეს საშინელი, ყოვლად უსაფუძვლო ბრალდება, თუ ნიადაგს მოიპოვებდა, არავის ეგონა. მაგრამ კაციჭამიობა და სიძულვილი ერთის მხრით, და ცრუმორწმუნეობა მეორეს—თავისას შვრება,

ებრაელების წინააღმდეგ ასეთი საბრალმდებლო ოქმი პირველი არ არის.

პირველი გალაშქრება მოხდა 1235 წელს ფულდაში (გერმანიაში). საქმის გარჩევას შემდეგ იმპერატორმა ფრიდრიხ მეორემ „ოქროს ბულა" გამოსცა, სადაც ამბობდა, რომ „აწინდელი საჩივრები რიტუალური მიზნით მკვლელობის ჩადენისა უსაფუძვლოთ ჩაითვლება"-ო. „ოქროს ბულას" მოყვა ამნაირივე შინაარსის დაუსრულებელი ედიკტები დასავლეთი ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოში.

რომის პაპებმა—გრიგოლ მეცხრემ და ინოკენტი მეოთხემ კატეგორიულათ უარყვეს თავის ბულებში ამ ბრალდების საფუძვლიანობა.

პაპა ინოკენტი, სხვათა შორის, სწერს: —„ძველი აღთქმა უკრძალავს ებრაელებს არათუ ადამიანის, ცხოველთა სისხლის ხმარებასაც კი".

ამ ბულებს მოყვა ანალოგიური: გრიგოლ მეათის, მარტინ მეხუთის, პავლე მესამის, კლემენტი მეთორმეტისა და სხვ., მაგრამ საქმეები რიტუალური მკვლელობის შესახებ მაინც არ ისპობოდა.

რუსეთშიც ხანგრძლივი და მრავალფურცლიანია რიტუალის ისტორია...

საინტერესო იყო იმპერატორის ნიკოლოზ პირველის დროს (1834 წელში) აღძრული და გარჩეული აგრეწოდებული „Велижское дѣло".

ეს პროცესი ბრალდებულთა სრული გამართლებით და საქმის აღმძვრელთა ციმბირში გადასახლებით დაბოლოვდა...

მაგრამ ეს პროცესი უკანასკნელი არ შეიქნა...

არ გამართლდა ქუთაისის პროცესშიც ნაფიცი ვექილის ალექსანდროვის მიერ წარმოთქმული სიტყვები: „დე, ეს იყოს უკანასკნელი ასეთი ხასიათის საქმე რუსეთის ისტორიაში"-ო.

და აი,—ბეილისის საქმესაც მოვესწარით...

ახლა განათლებულ ქვეყნებში ამის მზგავსი საქმეები აღარ ირჩევა, რუსეთში კი, შეიძლება, არც ეს იქნეს უკანასკნელი... კულტურული კაცობრიობა დაინტერესებულია ამ საქმით მით უმეტეს, რომ არავითარი ეჭვი არვის ეპარება, რომ ბეილისი მართალია—და ებრაელების საწინააღმდეგო ბრალდება (რიტუალი) ყოვლად უსაფუძვლოა.

საზღვარგარეთელი გამოჩენილი სწავლულნი: კელნის უნივერსიტეტის პროფ. ციმკე, ვენის პროფ. გაბრდა, ბონის პროფ. უნგარი, ბერლინისა ფრანკელი და სხვები ერთხმათ უარყოფენ იუშჩინსკის რიტუალურ მკვლელობას. რუსეთის შესანიშნავი სწავლულნი—პროფ. ბეხტერევი და ლეიბშედიკი, პროფ. პავლოვი ამასვე ამტკიცებენ.

სასულიერო აკადემიის პროფ. ტროიცკი და ფინლანდიის ეპისკოპოზი სერგი ამბობენ, რომ არცერთს ებრაულ წიგნში არ არის ნახსენები ქრისტიანთა სისხლის ხმარების საჭიროება.

მაგრამ შავბნელი ძალები ამათ საშინელ ბრალდებას მაინც თავზე ახვევენ. და როგორ შეიძლება, ებრაელი საზიზღარ ცილისწამებას და სასტიკ შეურაცხყოფას დამშვიდებული, გულგრილათ შეხვდეს... ამიტომ ადვილი ასახსნელია სიონისტების მეთერთმეტე კონგრესის ახეთი რეზოლუცია:

„სიონისტების მეთერთმეტე კონგრესი, როგორც მთელი დედამიწის ზურგზე მოფენილი ებრაული ორგანიზაციათა წარმომადგენელი, ბეილისის საქმეზე მოხსენების მოსმენას შემდეგ, სასტიკ პროტესტს აცხადებსს აშინელი საბრალმდებლო ოქმის საზიზღარი მტკიცების წინააღმდეგ—თითქო ებრაელები რელიგიოზური საჭიროებისთვის ადამიანის სისხლსა ხმარობდენ... ჩვენ ვთხოულობთ, რომ მთელმა ჰუმანიურმა კაცობრიობამ, მთელმა კულტურულმა ქვეყნიერებამ ჩვენთან ერთად სოლიდარული ბრძოლა დაიწყოს, ომი გამოუცხადოს შავბნელ ძალებს, ბარბაროსულ თავხედობას და დახმარება გაგვიწიოს ადამიანის შებღალული ღირსებისა და შეურაცხყოფილი თავმოყვარეობის დასაცავათ“.

ზოგიერთებს კი სურთ თავისი ერის სიმართლე „ურწმუნო თომებს“ ფიცით დაუმტკიცონ.

ბუდაპეშტისა და სალონიკის რაბინთა ინიციატივით 700-მა რაბინმა, მათ შორის—ადრიანოპოლის, სტამბოლის, მანჩესტერისა და ბელფასტკისა—ხელი მოაწერეს შემდეგ აქტს: „ვფიცავ მარადის მყოფის ღვთის სახელით, სარწმუნოებისა და კრულვის შიშით, რომ არ არსებობს არცერთი სექტა ისრაილისა, რომელიც სისხლს ხმარობდეს რიტუალური მიზნით“.

მრავალტანჯულ ხალხს ზეცისკენ აუპყრია ხელები და იქიდან მოელის დახმარებას ჭეშმარიტების გამოაშკარავებით. აი, როგორი ლოცვა შეადგინა მან: „შეგვიბრალე ჩვენ, მოწყალეო ღმერთო! მოხსენი შავი ლაქა ბრალდებისა წმინდა, თორასა და ხალხს უდანაშაულოთ წამებულს. გევედრებით შენ: მოუვლინე დაიცავი შენი ხალხი კიევში საქმის გარჩევის დროს, დაგვასწავლე, როგორ მივაწიოთ ჭეშმარიტების გამარჯვებას... გააბრწყინე მოსამართლენი ჭეშმარიტების სინათლით, რათა მათ დაინახონ სიმართლე. გამართლებას გევედრებით არა ჩვენთვის, არამედ თორის სიწმინდისთვის, რათა ყველამ იცოდეს შენი მართლმსაჯულება და თორის სიმართლე, გვიხსენ, უფალო, ჩვენ უბადრუკნი“...

ნუთუ ეს წამებული ხალხის გულის სიღრმიდან ამონახეთქი სიტყვები არ არის?! ნუთუ აქიდან არ გამოსჭვივის ტრაგიული განცდა ერისა?!.

დიახ, ებრაელი ხალხი ტრაგედიას განიცდის!..

ამ დღეებში კიევში წმ. ვლადიმერის სობოროსთან წირვის დროს ხანში შესული ებრაელი დაიჭირეს, რომელსაც ტაძარში შესვლა და „ბეილისის საქმის განმარტება“ უნდოდა. მას უნახეს ბეილისის საქმეზე აუარებელი ცნობა და შენიშვნა. როგორც გამოირკვა, საბრალო ამ საქმეს კჭუაზე შეუცდენია...

თუ ეს საკმარისი არ არის, მოვიყვან კიდევ ერთ ცნობას: „დაჭრილი ებრაელი დვინსკში რკინის გზაზე მომხდარი კატასტროფის დროს იხვეწებოდენ, რომ ისინი პეტერბურგში არ გააგზავნონ, ვინაიდან სატახტო ქალაქებში საცხოვრებელი უფლების უქონლობის გამო ეტაპით გამოგზავნილი და დასჯილი იქნებიან მორჩენას შემდეგ“.

კატასტროფით თავზარდაცემულნი, ჭრილობათა ტკივილით გულშეწუხებულნი, ერთი წამითაც არ ივიწყებდენ მათთვის უფრო საშინელ გარემოებას—საცხოვრებელი უფლების უქონლობას, პოლიციის, სასჯელს, ეტაპს...

ნუთუ აქ განმარტებაა საჭირო?! ნუთუ აქ ნათლათ არა ჩანს ებრაელების ტრაგედია?!.

ხარკოვი. ვ. ქ.

# ახალი ამბავი.

ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კერძო თათბირის მინდობილობით 4-სა და 5 ოკტომბერს სხდომა ქონდა ქალაქის საფინანსო და საამშენებლო კომისიას. ამ სხდომაზე მოწვეული იყო აგრეთვე იურისტები და ინჟინრები. შეერთებულმა კომისიამ განიხილა პეტერბურგის სავაჭრო საკომისიონერო და სააქციონერო საზოგადოების რწმუნებულის მინკოვსკის წინადადება. ქუთაისში ჰიდრავიული სადგურის, წყალსადენის, ელექტრონული განათებისა და ტრამვაის გაკეთების შესახებ და ხანგრძლივ კამათს შემდეგ მიიღო ეს წინადადება ცოტა ცვლილების მოხდენით. კომისიის დადგენილება ქალაქის გამგეობის მოხსენებასთან ერთად წარედგინება ქალაქის საბჭოს 14 ოკტომბერს.

✦ მიხეილის სააღგილ-მამულო ბანკის სამზრუნველო კომიტეტი 24 ნოემბერს რწმუნებულთა საგანგებო კრებას მოიწვევს. კრებაზე რწმუნებულთა მიერ არჩეული კომისია ბანკში შტატის შემუშავების შესახებ მოხსენებას წაიკითხავს. წაიკითხვენ აგრეთვე მოხსენებას ბანკში მოსამსახურე პი თა სამსახურიდან გასვლის დროს ნივთიერი უზრუნველყოფის შესახებ.

✦ კაპიტანი გამრეკლიძე რაჭის მაზრის უფროსათ დაინიშნა.

✦ ყარსის ოლქის აქიმი ტერტეროვი ქუთაისის გუბერნიის აქიმათ დაინიშნა.

✦ რაჭის მაზრის აქიმი ერმალოზ აბულაძე მოიწვიეს ქუთაისის ციხის აქიმის ე. ხუნდაძის დასახმარებლათ.

✦ ქუთაისის გუბერნიაში სასოფლო მეურნეობის საერობო ინსტრუქტორათ ა. ებრაელიძე დაინიშნა.

✦ ამ ჟამათ ქუთაისის სამიწისმოქმედო სამართველოში რევიზია სწარმოებს.

✦ სასულიერო სემინარიებისა და სასწავლებლების მასწავლებლებს ჯამაგირები მოემატა.

✦ ქებურიას ფრენა უამიდობის გამო არ შესდგა.

✦ ამ დღეებში დაიწყება ბილეთების გაყიდვა ფოცხვერაშვილის კონცერტზე. ბილეთებს კაი ხანია კითხულობენ პროვინციებიდან, ფოთიდან, ხონიდან, სამტრედიიდან, ზესტაფონიდან, ჭიათურიდან და სხ. ამ კონცერტს ყველა დიდის ინტერესით მოელის.

„რუსკოე სლოვოში“ ქუთაისიდან ანანოვის გატაცების შესახებ შემდეგი დეპეშია დაბეჭდილი. „ანანოვის ნათესავებმა ქუთაისის პოლიციას სთხოვეს—ანანოვის გამტაცებელთა დევნაზე ხელი აიღოს. ნათესავები შიშობენ—ძებნის დროს ანანოვი არ მოკლან. განზრახვა აქვთ მისი გამოსყიდვის შესახებ ყაჩაღებთან მოლაპარაკება გამართონ. პოლიცია დაეთანხმა ნათესავებს. საძებრათ წასული ფარული პოლიციის უფროსი ჩემინავა უკან დაბრუნდა. საერთო აზრი ის არის—რომ ანანოვის ნათესავებს ყაჩაღებთან მოლაპარაკება უკვე აქვთ დაწყებული“.

✦ 7 ოკტომბერს საზღვარგარეთიდან დაბრუნდა ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავჯდომარე ფეოდოროვი.

✦ 6 ოკტომბერს თეატრში ქართული წარმოდგენის დროს სცენაზე მომუშავე გ. ტორაძე ზედა სართულიდან უცაბედათ ძირს ჩამოვარდა და მძიმეთ დაშავდა. დაშავებული ბოკერიას საავათმყოფოში მოათავსეს.

✦ საქალაქო საქმეთა საკრებულოს განსახილველი ქონდა: ა) სოხუმის ქალაქის თვითმართველობის შუამდგომლობა შესახებ იმისა, რომ ნება მიეცეს ისესხოს სათადარიგო თანხიდან 103,777 მან., რომლითაც სურს ააშენოს გადამწვარი ხის სავაჭრო შენობების ნაცვლათ ქვის შენობები; ბ) მისივე შუამდგომლობა, რომ ნება მიეცეს სათადარიგო თანხიდან ისესხოს 10,000 მან. და ბაზარში ცეცხლისაგან დაზარალებულ პირთ მისცეს სესხათ; გ) სოხუმის ქალაქის გამგეობის დადგენილება ქალაქის აფთიაქის იჯარით გაცემის შესახებ; დ) ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობის შუამდგომლობა შესახებ იმისა, რომ 1913 წლიდან ქალაქი ოზურგეთი განთავისუფლებული იქნეს იმ ხარჯისაგან, რომელსაც ის აძლევს ხაზინას ადგილობრივი პოლიციის შესანახათ; ე) საჩივარი ქუთაისის მდაბიო მოქალაქეთა მამასახლისის უკანონო არჩევის შესახებ და სხ.

## მოწერილი ამბები.

ს. ხეთი. ამ დღეებში აქ ერთი სასაცილო და თანაც არა საკადრისი ამბავი მოხდა. ადგილობრივ მცხოვრებს კოსტა ყორშიას თავის მეზობელთან ანდრია კვიკვინიასთან უსიამოვნება ქონია. ყორშიას უთხოვია ღვდლისთვის, მასწავლებლისთვისა და კიდევ ერთი პირისთვის კვიკვინიასთან წაყოლა და მასთან შერიგება. თანხმობას შემდეგ ოთხივე წასულა კვიკვინიას სახლისკენ. ჭიშკართან რო მისულან გამოუძახიათ კვიკვინია, რომელიც გამოსულა. მისვლისათანავე ყორშიას ჯოხი დაურტყამს მისთვის და გაქცეულა. ღვდელი მას მიყოლია. თვითონ კვიკვინიას გულ მოსულს გამოუძვრია იქვე ჯოხი და დაუწყია ცემა მასწავლებლისთვისა და მესამე კაცისთვის. როცა გული უჯერებია ცემით, შემდეგ ბოქაულთან წაუყვანია, რომელიც 17 ვერსით არის მოშორებული. ღვდელი კი გადურჩა მის ცემას თავის დროზე გაქცევით.

აჭარის საზოგადოება. (ლეჩხუმის მაზრა) სასურველი მოვლენაა ის გარემოება, რომ ზოგიერთი პირი ცდილობს საზოგადოების სწავლა განათლებაზე. ასეთ პირთა წყალობითა და დახმარებით ამ ერთი წლის წინათ საზოგადოების ერთკლასიანი სასწავლებელი ორკომპლექტიანათ გადაკეთდა. მაგრამ, არ შეიძლება არ ვუსაყვედუროთ თვით მცხოვრებლებს, რომელნიც გულგრილათ შეხვდენ და ბევრ მუდარას შემდეგ ძლივს გამოგზავნეს შკოლაში ასამდი ბავში. მასწავლებელნი გულმოდგინეთ შეუდგენ სწავლას, მაგრამ გაზაფხულზე, როცა მუშაობა იწყება გლეხების, თითქმის მოსწავლე[...] რიცხვი განახევრდა, და ვინც [...] ბოდა ისიც ორი სამი დღის გამოშ[...] ამ მხრით მასწავლებელნი უხერ[...] მდგომარეობაში ჩავარდენ და, რასაკ[...] ველია, მოსწავლენიც ვერ შე[...] სებდენ რიგისამებ ცოდნას.

ს. ზოდი (ზემო იმერეთი). 5 სე[...] ბერს გიორგი ეპისკოპოზმა ადგილო[...] ვი სღვდელოების თანამწირველო[...] აკურთხა გამყრელიძე-ლევანიშვილ[...] საგვარეულო განახლებული საჯვარი[...] ნიკოლოზის ეკლესია. კურთხევას შე[...] პროცესია გაემართა სისო გამყრელ[...] სახლისაკენ, სადაც სადილი იყო გა[...] თული ეკლესიის მონაწილეთაგან. ნა[...] ზე 300 სულამდი დაესწრო. წარმოი[...] მრავწლი სიტყვა. შეუნიშნავათ არ [...] რჩება გამყრელიძეთაგან ძველი დიდ[...] აღდგენა. განსაკუთრებით ჯიბო და ს[...] გამყრელიძეებისა და მაიკო გოდაბრე[...] ძის მეუღლის შრომა და ენერგია [...] ნივთიერი დახმარებაა ყურადღების მ[...] ქცევი. ეკლესია ლამაზი და კეკლუ[...] რასაც ხელს უწყობს ბუნების სიმშვე[...] რეც: მდებარეობითა და ჰაერით.

— დ. ლაიჩხუთი. 29 სექტემბერს [...] ლით გუმბალაურის ეკლესიის მახლ[...] ლათ აუარებელ ხალხს მოეყარა თავ[...] ისმოდა გულშემზარავი წივილ-კივ[...] მისულ ხალხს შემდეგი შემაძრწუნებ[...] სურათი გადაეშალა: პატარა ფი[...] შენობაში ტახტზე ეგდო 20—21 [...] ქალი, რომელსაც სახე დალურჯებ[...] და მთელი სხეული ჯოხით დამსხვრე[...] ქონდა. იქვე 55 წლის მოხუცი, ქ[...] დან შემცთარი ამ სურათით ლუღლ[...] დებდა: მეზობლების ლაპარაკიდან გა[...] ირკვა, რომ წინა ღღით მახლობელი [...] ზობლისას ს. ჯორბენაძისას ყოფ[...] სტუმრათ და შემდეგ სადამოთი სახლ[...] გაუსტუმრებიათ. ამ ახალგაზდა მი[...] ლებულს პატრონი არავინ დარჩენ[...] რომ ყურადღება მიაქციოს და მკვლე[...] აღმოაჩინოს.

# დღიური.

საფრანგეთში ბევრი ჯარის უფროსი სამსახურიდან დაითხოვეს.

— საქართველოს ეგზარხოსათ ტობოლის არქიეპისკოპოზი ალექსი დანიშნეს.

— კავკასიაში ექვსი სამასწავლებლო ინსტიტუტი იხსნება.

— ბაქოს ინგლისის პარლამენტის წევრი ბანკსტონი მოვიდა.

— ბეილისის პროცესზე დასასწრებლათ კოროლენკო კიევს მიდის.

— ოსმალეთის სომხეთში გასაყვან რკინის გზას რუსეთი ამოწმებს.

— კავკასიის მეფის მოადგილე ჩერნომორსკის გუბერნიის გამოყო[...] ნადირობს.

— ავსტრიის ნოტის გამო ს[...] თბეის ჯარს ალბანეთში შეუ[...] ჩერა.

— ესად-ფაშამ პორტას აცნობა [...] ბანეთში საზოგადოებრივი აზრი ოსმ[...] თის სასარგებლოთ შეიცვალაო.

— ოსმალეთში ერთობისა და პ[...] რესის პარტიამ დაადგინა—დაითხ[...] ყველა ის აფიცერი, ვინც პარტიის [...] ტიკას არ ეთანხმება.

— დონის როსტოვში გაფიცულ [...] ვაის მუშათა მოთხოვნილება დააკ[...] ფილეს.

# შეხვედრა

**მოთხრობა**

დასასრული. იხ. „იმერეთი“ 158-ე №.

გავიდა ზაფხული. სიზმარივით გამიქრა ხელიდან... უკანასკნელი საღამოს ვატარებთ მე და ელენე საყვარელ ადგილას.

— წავალ შორს...—ვეუბნები ჩემს ტრფოს—მოგშორდები... და, აღარ გავბრუნდები!..

ელენეს ცრემლები ერევა. ცდილობს თავი შეიკავოს. ჩემს მხარზე ხელი დაუდევს და ნაღვლიანათ შემომცქერის თვალებში.

— ეგ არაოდეს არ იქნება, ირაკლი!

— ძლიერ ადვილათ, ჩემო კარგო! შენი დიდგვარი მამისთვის ჩვენი სიყვარული წარმოუდგენელია... ვინ უბრალო, ღარიბი უსახლ-კარო სტუდენტი—ვინ მისი ქალი—თავადიშვილის, დიდი გვარიშვილის... აბა, რა გვაქვს ჩვენ საერთო?

— ჩემო, რა საშინელ სიტყვებს ამბობ, ირაკლი! რა ვუყოთ, მამაჩემი ძველი აზრის კაცია—შესაძლებელია, ის მართლაც აგრე სჯიდეს, და ამით მე ხომ არ შემეცვლება შენზე გული... აბა, რას ამბობ! ნუ წარმოიდგენ—შენს მეტი მე არავინ მინდა...

— ჩემო სიცოცხლე—სიხარულო!—ვეუბნები და თან ლამაზ თითებს ვუკოცნი.—შენისთანა სუსტ ქმნილებას აბა რა წინააღმდეგობა შეგიძლია. ჩვენი სიყვარული ხასიათის სიმტკიცეს, ძალას, თავგანწირულობას თხოულობს, შენ-კი რით შეგიძლია ებრძოლო ფუფუნებაში გაზრდილმა ჯავრს, შეწუხებას! არა მჯერა, რომ ჩვენს ბედნიერებას დიდი დღე ქონდეს! ვნახოთ.—უიმედოთ ველაპარაკები მე. მისი გრძნობით სავსე თვალები კი წინააღმდეგს მეუბნებიან... ელენე მეხვევა, მეალერსება, მარწმუნებს, მაიმედებს... მეც მინდა ვერწმუნო, მინდა დავსტკბე იმედით, მაგრამ ეჭვი თავს არ მანებებს...

გვიან არის. მთვარე ალერსიანათ დაგვქათქათებს თავზე; ნათელი ღამე ტკბილ სამსახურს გვიწევს—არ გვინდა მოვშორდეთ ერთმანეთს, ისეთი საამური ღამეა! თითქო ეს ღამე უკანასკნელია ჩვენს ცხოვრებაში... თითქო არაოდეს არ მობრუნდება ეს ნეტარება.

წამოვდექით. ელენემ ხელი გამიყარა და ნელის ნაბიჯით შინისკენ გავუდექით. მთელი გზა ხმა არ ამოგვიღია—კაეშანს მოიცვა მთელი არსება. სახლს რო მივუახლოვდით, ელენემ ხელი გამაშორა. თ-დი ელიზბარი და კნეინა ივლიტე აივანზე ისხდენ მოწყენილი. ჩვენთვის არაფერი უთქვამთ, შევნიშნე კი—არ იამათ ჩვენი ასე გვიან დაბრუნება. მე გამოვეთხოვე მათ, რადგან დილით ადრე ვაპირობდი წასვლას. გზა დამილოცეს. ელენესაც ხელი გავუწოდე... მისმა თვალებმა ტანჯვის ცეცხლი მომიკიდა. ოთახში რომ შევედი, ერთი კიდევ მოვიხედე, ელენე იმ ადგილსვე იდგა გაშტერებული, სახეზე სიცოცხლის ფერი არ ედვა...

მშვიდობით, ჩემო ანგელოზო, ჩემო წმინდა ოცნებავ!

—

პირველ ხანებში ხშირათ მომდიოდა ელენეს წერილები რუსეთში. ოცნებაში ვიხატავდი მომავალი ცხოვრების სანეტარო სურათებს... მართალია კერპი თავადი ეცდება დაგვაშოროს, მაგრამ ელენე ისეთს წერილებს მწერდა, რომ ეჭვი აღარ მებადებოდა ჩვენი ბედნიერების გაქარწყლებისა. ძლიერი გრძნობა თავისას იქს და თ-დის ჟინს დასძლევს, ვფიქრობდი მე, მაგრამ..

თურმე სასტიკარ ვცდებოდი. აგერ თვეზე მეტია, ელენესაგან არავითარი ცნობა არ მომდის. ნეტავი რათ არა მწერს? იქნება შეხვდა რამ, შეიძლება, ავათ არის? და ეს გამოურკვეველი მდგომარეობა გონებას მირევდა, მუშაობას გულს ვეღარ ვუდებდი და მთელი დღეები გაბოროტებული დავხეტიალობდი. ყოველ ორ-სამ დღეში წერილს ვუგზავნიდი, მაგრამ პასუხი არ იყო... დავაპირე წამოსვლა საქართველოში, ის იყო უნდა გამომგზავრებულვიყავი, რომ დიასახლისმა შემომიგზავნა წერილი. ელენეს ხელი! ვერ ვბედავდი გახსნას—შიში და სიხარული ერთმანეთში ირეოდა. აკანკალებული ხელით, როგორც იქნა, წავხიე კონვერტს თავი. წერილის სათაურმა გამაოცა:—

ბატონო ირაკლი!

ღმერთო! რას ნიშნავს ეს! მუხლები მეკეცება, ასოები მერევა... ძლივს ძლიობით ჩავიკითხე ბარათი, რომელიც შეიცავდა რამდენიმე სიტყვას:

„ამ წერილის მიღების დღიდან ჩვენ შორის ისპობა ყოველივე მიწერ-მოწერა. მე გთხოვთ დამივიწყოთ და არაოდეს არ სცადოთ ჩემი შეხვედრა. მაპატიეთ... მიზეზს ნუ იკითხავთ, რადგან არავითარი პასუხის მოცემა არ შემიძლია“...

ელენე.

რა თავზარი დამცა ამ მოკლე ბარათმა. თითქო ჩემი ცხოვრების უმთავრესი ძაფი გასწყდა, ჩემ არსებობას მნიშვნელობა დაეკარგა. თითქო ელენე იყო ის ჩარხი, რომელზეც ჩემი ცხოვრება ტრიალობდა. ვერ გადავიტანე ადვილათ ეს მოულოდნელი შემთხვევა—მთელი ორი თვე შეშლილივით ვიყავი. არ გამეგებოდა, რას ჩავდიოდი. მთელი ღამეები არ მეძინა. ამხანაგები მეტათ შეშინდენ. ერთ წამსაც არ მტოვებდენ მარტო, რომ ჩემი თავისთვის არაფერი ამეტეხა.

გავიდა ხანი და, როგორც საზოგადოთ ადამიანს სჩვევია, მეც შევეჩვიე ჩემს მდგომარეობას. თანდათან მივეც დავიწყებას ჩემი წარსული. დრო საუცხოო მკურნალია ჯავრის... რამდენიმე წელს შემდეგ, აღარც კი მახსოვდა ის, რაც იმ ხანებში სიცოცხლეს მასალმებდა. ამხანაგების წყალობით გადავიტანე ის მძიმე ხანა ჩემი ახალგაზდობისა..

განვაგრძე სწავლა. დავასრულე უნივერსიტეტი. აგერ ხუთი წელიწადი აქიმათა ვარ, ცოლი შევირთე, შვილიცა მყავს. ოჯახის მამა გავხდი.

და აი, სრულს ათ წელს შემდეგ, რაც ეს ამბავი გადამხდა, ისევ შევხვდი ელენეს... როგორ დაქალებულა, კიდევ უფრო გალამაზებულა, მხოლოდ იმ სიწყნარეს ვეღარ ვხედავ—ქალის შვენების საუკეთესო სამკაულს! იგი შეცვლილა ცივს, ამაყ სიდინჯეთ, რომელიც სრულიად შეეფერება მის ახლანდელ მდგომარეობას... რა უცნაური შემთხვევაა... ათ წელს შემდეგ!..

წარმომიდგა მივიწყებული წარსული... ისევ გამეხსნა ძველი ჭრილობა, გავს არ ყოფილა სრულიად განკურნე[...] ლი. მეტათ ამაღელვა ამ შემთხვევამ. კვირველია—თითქოს მე ყოველივე [...] ვიწყებას მივეცი, ჩემ ხსოვნაში ამ მო[...] ნებას ადგილი აღარ ქონდა... ნეტავ [...] მაღელვებს ასე საშინლათ მისი შეხვედ[...] რათ მიცემს გული? მე მიყვარს [...] ცოლშვილი, ჩემი პატარა ბიჭუნა; [...] შემიძლია გავცვალო რასმეზე მისი ტ[...] ბა-ალერსი! ის არის ჩემი სიცოცხლ[...] სიხარული! არა მე ჩემს ოჯახს ვეკ[...] მთელის ჩემი გრძნობით. არავითარ შემთ[...] ვას, თუგინდ იმ წარსულს, რომელ[...] ოდესღაც ჩემი სიცოცხლის საკითხს [...] ადგენდა, არ ძალუძს ჩემში გააქ[...] ტკბილი სიყვარული ოჯახისადმი!.. [...] რათ არ მეშვება ეს საბრალო გული! [...] ტა რამ გადასწყდა მას, კმარა. ყოველ[...] დავიწყებას მიეცა და ამ ჟამათ მე [...] არა მცალია!

თუმცა ასე ვსჯიდი, ვგრძნობდი, [...] ვსცდებოდი—არ ამომილია, ჩანს, გულ[...] დან მისი ხსოვნა! ვგრძნობ ეს შეხვედ[...] დიდ ბრძოლას გამოიწვევს ჩემგან.

ვრწმუნდები—უბედურ ვარსკვლავზე [...] დაბადებული—დაუსრულებელი ტანჯვ[...] აი, რა სწერია ჩემი ბედის ფიცარზე!..

ასეთი ფიქრებით გარემოცული [...] ხანს ვიჯექ მარტოთ ბაღში... თით[...] დაცარიელდა ის. მეც ავდექი და მძიმე [...] ბიჯით გავუდექი გზას.

—

ერთ საღამოს, როდესაც ავათმყოფ[...] გავისტუმრე და ვაპირობდი ჰაერზე გას[...] ნებას, კარებში იმერელი ფარეში მხვდა სადარბაზო ბარათით ხელში.

— თ-დი ოქროყანიშვილისგან გა[...]

## ბ-ნის გ. თუმანოვის წერილის გამო.

ჟურნალი „Совремрнникъ"-ის ეკენისთვის ნუმერში ბ-ნი გ. თუმანოვის წერილია მოთავსებული სათაურით—„Кавказскія дѣла," სადაც ავტორი ეხება კავკასიის პოლიტეხნიკუმისთვის ადგილის არჩევის საკითხსაც.

ადგილობრივი საკითხები თუ ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთების ფარგალს სცილდება, ალბათ იმიტომ, რომ უცხო საზოგადოებას გააცნოს ისინი და მსჯავრი დაადებინოს. მაგრამ ამისათვის საჭიროა ...ულებლად ესა თუ ის საკითხი ობიექტიურად გაშუქდეს, საქმის ვითარების ...რათი სრული სინამდვილით დაიხატოს. მკითხველი საზოგადოების (მით უმეტეს უცხოსი, ვინაიდან ადგილობრივი საზოგადოების დატყუილება უფრო ძნელია და მას თვითონაც შეუძლია საქმეს უშვალოთ გაეცნოს) შეცდომაში შეყვანა კი ყოვლად შეუწყნარებელია...

თუ რაოდენ სამართლიანათ გააშუქა პოლიტეხნიკუმისთვის ადგილის არჩევის საკითხი ბ-ნმა გ. თუმანოვმა, ამას მკითხველი წერილის შემდეგი ადგილიდან ადვილათ დაინახავს:

„ამ საკითხის გამო ქალაქის სხვადასხვა ნაწილის შორის გამწვავებული ბრძოლაა გაჩაღებული.

თვითოეულ მათგანს უმაღლესი სასწავლებელი თავის რაიონში უნდა აიშენოს. ...ფილისის ქალაქის თვითმართველობამ ...ულით დახმარების გარდა (130 ათასი ...ოლიათა და 30 ათასი ყოველწლიურათ), 40 დესეტინამდი მიწა შესწირა; აქ პოლიტეხნიკუმი უნდა აშენდეს, დარჩენილი ადგილი კი გაიყიდოს და მოხმარდეს მის აშენებისა და მოწყობის საქმეს. ამ მიზნით ქალაქმა საკუთარი მიწა შესწირა განაპირა რაიონში—ნავთლუღში, რადგან ცენტრში მას საამისო მამული არ მოეპოვება.

კერძო პირებმა, შეიგნეს რა თავის რაიონში უმაღლესი სასწავლებლის აშენების სარგებლობა, შესწირეს 400 დესეტინამდი მიწა ქალაქის მეორე განაპირა ადგილას—საბურთალოზე. შუამდგომლობას (?) მხარს უჭერს ადგილობრივი თავადაზნაურობა, რომელსაც კერძო პირებმა იმიტომ აჩუქეს 100 დესეტინა ზემოდასახელებულ 400 დესეტინიდან.

ნავთლუღი—ქალაქის ძველი ნაწილია და ქალაქის თვითმართველობის ეს არჩევანი მოსწონს ადგილობრივ მკვიდრთ. (одобряется коренными жителями).

საბურთალო—ქალაქის ახალი ნაწილია (ის ქალაქის ფარგალშიც არ შესულა ჯერ) და მისი არჩევანი მოსწონთ ...ლათ დასახლებულთ (ново-сельц.) ნავთლუღში უმეტესი ნაწილი მცხოვრებთა სომეხია, საბურთალოში—ქართველები..

...ამნაირათ საკითხი მეტათ მწვავეთ არის დაყენებული: უნდა გაიმარჯოს ან თავად-აზნაურობამ კერძო პირებთან ერთად ან ქალაქმა.

ამ ბრძოლის შედეგზეა დამოკიდებული, რამდენიმეთ მაინც, მომავალი პოლიტეხნიკუმის ბედი, ვინაიდან აქ ლაპარაკია არა მარტო ადგილის ამორჩევაზე, არამედ მისთვის საშვალებათა გამონახვაზეც...

... უკანასკნელს სათავად-აზნაურო კრებაზე თფილისში ძნელი არ იყო მისულიყავი იმ დასკვნამდი, რომ, თუ პოლიტეხნიკუმი ქალაქის მამულზე აშენდა, ისინი დახმარებას არ გაუწევენ. უფრო გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდება პოლიტეხნიკუმი, თუ კომისიამ საბურთალო ამოირჩია, რადგან ქალაქები შეწირულობაზე უარს იტყვიან (города отказутся отъ пожертвованій.)

ამ შემთხვევაში თავად-აზნაურობა მისცემს პოლიტეხნიკუმს მხოლოდ კერძო მიწებს და იმ მიწებს, რომელიც ამ აზნაურობამ შესწირა.

არ შეუდგები ამ წერილში ფაქტიურ შესწორებათა შეტანას, მხოლოდ არ შემიძლია არ აღვნიშნო ბ-ნი გ. თუმანოვის ნავთლუღისადმი სიმპატია და პასუხი არ გავსცე მის ზოგიერთს უცნაურ მოსაზ ებას. პოლიტეხნიკუმი ნავთლუღში უნდა აშენდეს, რადგან ამას ქალაქის მკვიდრნი—სომხები თხოულობენო... მაშ ქართველები ვინღა ყოფილა, ბ-ნო გ. თუმანოვო? სტუმრები, არა?!..

ნავთლუღში უნდა აშენდეს პოლიტეხნიკუმი, რადგან ის ქალაქის ძველი რაიონ ა, საბურთალო კი ქალაქის ფარგალშიც არ არის შესულიო... მაგრამ თუ რა უპირატესობის მიმნიჭებელია სიძველე თვითონ მკითხველმა განსაჯოს...

ნავთლუღში უნდა აშენდეს კიდევ იმიტომ, რომ ქალაქი აქ სწირავს თურმე 40 დესეტინას, საბურთალოზე კი თავად აზნაურობა თუ კერძო პირები (?) 400 დესეტინას.

საბურთალოს უპირატესობას ყოველი მიუდგომელი, ნეიტრალური პირი გეტყვისთ და არა ერთჯერ სთქვეს კიდეც, მაგრამ თქვენ მაინც თავისას გაიძახით... რა გალაპარაკებთ, ბატონებო: სიმართლე თუ ჟინიანობა?! თუ სიმართლე, მაშინ ის ჩვენსკენ არის და რაღას გვემუქრებით: თუ თავად-აზნაურობამ გაიმარჯვა, მაშინ პოლიტეხნიკუმი უფრო გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდება, რადგან **ქალაქები შემოწირულობაზე უარს იტყვიანო.**

ხაზ გასმული სიტყვებიდან ჩანს, რომ, თუ პოლიტეხნიკუმი საბურთალოზე, აშენდა, მაშინ თფილისის ქალაქის თვითმართველობა მატერიალურ დახმარებაზე უარს იტყვის. ეს რაღაც დაუჯერებელი, წარმოუდგენელია... მაგრამ მისგან თურმე კიდევ მეტს უნდა მოელოდე... სხვა ქალაქებიც გაიფიცებიან და შემოწირულობაზე უარს იტყვიანო. ალბათ თავისი უფროსი ძმის—თფილისის გავლენითა და მაცადინობით...

მაგრამ ყოველივე ამის დაჯერება, ძალიან საძნელოა; ჩემის ფიქრით, ასე შავათ საქმე მხოლოდ ბ-ნ გ. თუმანოვს ეჩვენება...

ყოველ შემთხვევაში საკითხი ტენდენციურათ არის გაშუქებული, და ძალიან გიკვირს ადამიანს, როდესაც დასასრულ ბ-ნი თუმანოვი მამობრივ დარიგებას იძლევა: „საჭიროა ადგილობრივმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა შეაერთონ თავისი ძალ-ღონე, ვინაიდან მხოლოდ შეერთებული ძალ-ღონით შეიძლება მიზნ ს მიწევა"...

კარგი და პატიოსანი!..

მხოლოდ შეერთების უმთავრესი მუხლი უნდა იქნეს:

**სამართლის დაცვა.**

უკიდურეს შემთხვევაში შეერთებაზე ლაპარაკი ყოველ საფუძველს მოკლებული იქნება.

Conditio, sine qua non... ვინ გაურბის კი ამ სიმართლეს, ვის სურს შავი თეთრათ გაასაღოს,—ეს თვითონ ბ-ნი გ. თუმანოვისთვისაც აშკარაა.

ხარკოვი. **ვ. კაკაბაძე.**

## სამშაბათელა.

ნეტარხსენებული, გულის ფანცქალით მოსაგონარი ჩვიდმეტი ოკტომბრიდან მოგვენიჭა ბევრისგან ბევრი თავისუფლება. მართალია—ეს თავისუფლება ჩვენ მართლა თავისუფლებათ მივიღეთ, და მართლა თავისუფალი გვეგონა თავი და, ვითარცა თავისუფალ ხალხს შეეფერებოდა, თავისუფლათ მოვინდომეთ გათავისუფლება ბევრი უთავისუფლო თავისუფლების გასათავისუფლებლათ, მარა, ამ თავისუფლებაში ზოგიერთებს თავ-გასულობა შეეპარათ და ეს თავ-გასულობა თავისუფლებათ მიიჩნიეს.

თავისუფლება სიტყვისაო—ითქვა...

და რის თქმაც მანამდი შეუძლებელი იყო, რისი დაწერაც მანამდი სიზმრათაც არ უნდა მოგლანდებოდა... ახლა იტყოდი, დასწერდი. გეტყოდა?—უარესს ეტყოდი! დაგიწერდა? უარესს დაუწერდი!

და ეს სიტყვისა და წერის თავისუფლება საჭიროთ სცნეს საქმისთვის, მისი ვითარების გარკვევისთვის, გათეთრ ებისთვის, გამომზეურებისთვის.

ბევრი კუნჭულში ჩაყურყუმალებული საქმე ამოტივტივდა, ამოცოციალდა, ზე იწყო ხვანხვალი, რაკი დასცხეს „სიტყვა" და „კალამი". ბევრი თეთრი გაშავდა, შავი გათეთრდა და ვითამ ამოვისუნთქეთ თავისუფლად.,.

მარა, ზევითაც მოგახსენეთ, ზოგიერთებს თავგასულობა შეეპარათ ამ თავისუფლებაში და ასე თუ ისე, ცოტათ თუ ბევრათ გათავისუფლებულ კალამს მუშტი მიუღირეს...

ფოთის ქალაქის გამგეობის მოხელეს ვინმე როსტომაშვილს, ალბათ, ბევრი უკითხავს „როსტომიანი", ვინ უწყის—თავი „რუსტემ მეფეთაკ" წარმოიდგინა და ცაგარლის ავეტიკასი არ იყოს—„კულაკ იდოტო"! დასაგმობი და გასაკიცხია ეს—„კულაკი" კალმის საქმეში. კალამი ისეთი იარაღია, თუ თავისუფალი ნავარდის უფლებაც აქვს მინიჭებული—რომ კულაკი კი არა, თოფი-ტყვია, ხმალ-ხანჯალიც ქვით მასთან...

მასთან პატივისცემაც უნდა მას, თვარა ცემა და ტყეპა... ეს ნება დართულია მხოლოდ ზულუსებში და ხანდახან ქუთაისის ბულვარში, სადაც სა—„გულვარდოთ" გამოდიან ჩვენი მოწაფენი და მერე „საუჩასტკოთ" ხდებიან.

აგრეთვე პატივისცემა უნდა იმ ხალხს, რომელიც ქუთაისში ქართულ წარმოდგენებს ესწრება.,. არ ჩამაკვდენ ამ „ლაბირინტით" და ინსტინკტით. ბატონო, ამ „ლაბირიტში" კაი ხანია—გახვეული ვართ, „ინსტინკტისკენ" მიდრეკილებაც გვაქვს, მარა ჩვენ, თეატრში მოსიარულე ხალხს მისთანა რამ გვაჩვენეთ, რომ ამ „ლაბირინტიდან" გამოვიდეთ და კარგი „ინსტინკტიც" გავივითაროთ, ჩვენებური, ჩვენებური, დაბიური, ვინაიდან თეატრშიც ასეთები დადიან, და მაღალწრესა და ინტელიგენციას სხვა „ინსტინკტი" „ლაბირინტი" გააჩნია, კრინტიც არ უნდა დასძრას ქართულ წარმოდგენებზე, და აღარ დაუჯერებთ!

მე მგონია, ქუთაისში ორი სახის წარმოდგენა უნდა იმართებოდეს. ერთი—ხალხისთვის, ამათი საგულე და საფულეც, მეორე—მაღალთათვის, რომ ლაბირინტიდან გამოიყვანოს და ინსტინკტი ქართული წარმოდგენის გაუღვიძოს. ამათაც, ამ უკანასკნელებს ისე უნდა მოცხება და გაქირდვა, როგორც გუშინწინ კანმა და სოლომონმა გააპალაჩეს, ჩვენი ძმანი—მეგაზეთეები და ავტორის ნათქვამს ბევრი თავისიც ჩაურთეს... მარა ჩვენ დაბალი დობე ვვონივართ ყველას—მეკულაკე როსტომაშვილსაც და ბრძენ კინსა და სოლომონსაც...

**სამშაბათელა.**

## რუსეთი.

**სათათბიროში.** სხვადასხვა ფრაქციის წარმომადგენლები შორნიკოვის ქალის (ს.-დემ. ორგ. წევრობა) საქმეზე სენატის გადაწყვეტილების შესახებ აგროვებენ მასალას. განზრახვა აქვთ ამ საქმეზე სათათბიროში შეკითხვა შეიტანონ. შეკითხვა მინისტრთა საბჭოს თავჯდომარისა და იუსტიციის მინისტრისადმი იქნება მიმართული.

**ხმები კასოს შესახებ.** ხმა გავრცელდა—კასო სახალხო განათლების მინისტრობას თავს ანებებს და უფრო მაღალ თანამდებობას მიიღებსო. მის ადგილზე კანდიდატათ ასახელებენ სახელმწიფო საბჭოს წევრს შვარცს და პეტერბურგის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს პრუტჩენკოს.

**სათათბიროს პრეზიდიუმი.** ნაციონალისტები როძიანკოს წინააღმდეგ ცხარე აგიტაციას ეწევიან და ამის შესახებ სათათბიროს კულუარებში ბევრს ლაპარაკობენ. ოკტომბრისტებმა გადასწყვიტეს როძიანკოს მხარი დაუჭირონ. მალე სათათბიროს პრეზიდიუმის არჩევის შესახებ ოპოზიციონური პარტიების კრება მოხდება.

**შუამდგომლობა.** მოსკოვის ქალაქის მოურავის მოადგილემ შუამდგომლობა აღძრა, რომ გაათავისუფლონ, და ან სასჯელი შეუმსუბუქონ ტრამვაის 24 მუშას, რომელნიც უკანასკნელი გაფიცვის დროს დააპატიმრეს.

## უცხოეთი.

**ავსტრია და სერბია.** ავსტრიასა და სერბიას შორის მდგომარეობა ერთობ გამწვავდა. ავსტრიის მთავრობის ოფიციალური გაზეთი სერბიის წინააღმდეგ ილაშქრებს. ის სწერს: სერბიამ დაიკავა ალბანეთი და ამ მოქმედებით დაარღვია ავსტრიასთან მიცემული სიტყვაო. ცნობაა—ავსტრიის ელჩს ბელგრადში დაავალეს ალბანეთის საზღვრების შესახებ სერბიის მთავრობასთან მოლაპარაკებაო.

## კოცნის ისტორია.

(თარგმანი).

დიდიხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც დიდებულმა მაგადევამ გაიჩინა ქალი. ტურფა წარსდგა მის წინაშე და გულ-ხელდაკრეფილმა მუხლი მოიდრიკა.

— რას მოითხოვ ჩემგან, სიყვარულის პირმშო შვილო!—შეეკითხა მას დიდებული.

— რას მოვითხოვ? შენ უხვათ დააჯილდოვე ჩემი მეგობარი—მამაკაცი. მიეც მას შორსმჭვრეტელი თვალი, რათა არ ასცდეს ჰაერში არწივის ლაღი ნავარდობა და დასტკბეს ჩემის სიმშვენიერით; მიეცი მაგარი ხელი ისარის სატყორცნელათ და ჩემი სისუსტის მედგრათ დასაცავათ; მიეცი სწრაფი და მარდი ფეხი და სხვა ბევრითაც დააჯილდოვე იგი. მე კი ყოველ ასეთ წყალობას მოკლებული ვარ. მეცა მსურს,

---

...ართ—მითხრა მან და მომაწოდა ბარათი.

გავხსენი. კნეინა ავათმყოფთან მიწვევ... შევფიქრდი...

— კარგი!—ვუთხარი მას—გადაეცით ...ეინას, გიახლებით-თქო.

...იმერელი ცქვიტათ შეტრიალდა, ზდილობიანი სალამი მიძღვნა და გასწია... ...შტერებული ვიდექ ერთ ადგილს... ელე... ავათმყოფთან მიწვევს... ეს მიზეზია ...ოლოდ, ნამდვილათ კი ჩემი ნახვა მოუნდა... არ ვიცოდი, რა მექნა... აქი...ს მდგომარეობა მავალებდა წასვლას. ...გავაქნიე ხელი და გადავსწყვიტე. მთელი გზა ერთმა ფიქრმა შემიპყრო:—რო...რ შევხვდეროდი ელენეს. ეს მდგომარეობა იმდენათ მიბნევდა გონებას, ნაც...ბსაც ვერ ვამჩნევდი გზაში... მივუ...ლოვდი თუ არა ოქროყანიშვილის აგა...კს, გულმა საშინლათ დამიწყო ცემა... ...ვიხადე ქუდი, გავისწორე ურჩი თმა, ...დ-დავხედე ჩემს თავს—გარეგნული შე...ულობა ჩემი სრულიად მაკმაყოფილებ... შევაღე კარი და დიდს ხეივანში შე...ე თავი. გავიარე რამდენიმე მანძილი... ...ცრათ მომესმა ნაცნობი ხმა. დამაჟრჟოლა. ნაძვებ შორის გაბმულ ბადეში ძვირფასი ფარჩის ხალათში გახვეული ელენე ...ვიროსბდა. საკვირველია—ათ წელს შე...ევ იგი ისევ წიგნით შემხვდა ხელში. ...თივე მომხიბლავი ღიმილით, მხოლოდ ...მათ დარცხვენილი...

— აქიმს ვახლავარ—მითხრა მან ტკბი...ს ხმით და მიმიწვია ჰილის სავარძელ... რომელიც იქვე იდგა ბადესთან. ...რხული მდგომარეობა იყო, ვერც ერ... ვერ ვიწყებდით ლაპარაკს, ბოლოს ...მე დავარღვიე სიჩუმე.

— რით შემიძლია გემსახუროთ? დავეკითხე მე. ვგრძნობდი—გასართობათ, საარშიყოთ მას არ მიუწვევივარ—მისი შეწუხებულისახე ამას მოწმობდა.

— მერე შეგიძლიათ ის სამსახური გამიწიოთ, რაც მე მინდა?—ნაღვლიანი ღიმილით შემეკითხა იგი.

— ჩემი სამსახური, რომელიც თქვენი ბარათიდან ვიცი, საექიმო დახმარებით გამოიხატება,—ვეცდები შევასრულო.

— რა ცივი პასუხია! სთქვა მან და მძიმეთ ამოიოხრა.—აქიმო, რათ შემხვდით ამნაირათ? განა დრომ არ დაგავიწყათ ჩემი დანაშაული?.. არ მაპატიეთ? თქვენ ხომ ბედნიერი ხართ... რათ მისწორებთ ასე სასტიკათ ანგარიშს?

— თქვენ კი არა ხართ ბედნიერი?

— ჰმ, ბედნიერი!—მწარეთ გაიღიმა მან.

— რა გაკლიათ:—სიმდიდრე, მდგომარეობა—ბრწყინვალე წოდება, თუ რა? მგონია, ყველაფერი გაქვთ.

— ყველაფერი და არაფერი! რა სიამოვნებით ავიღებდი ხელს ამ ყველაფერზე, ოღონ...

გაჩუმდა. შევნიშნე—ცრემლები მოერია, მაგრამ ისევ მალე შეიკავა თავი.

— დაასრულეთ, რისიც თქმა გსურდათ—ვუთხარი მე რამდენიმე ხნის სიჩუმეს შემდეგ.

— რა საჭიროა,—მძიმეთ ამოიხვნეშა მან,—თქვენ მაინც ვერ მიხვდებით...

— დაგვიანებული სინანული!

— მერწმუნეთ,—მითხრა მან—ეს სინანული დაუმსახურებლათ მტანჯავს—არა ვარ დამნაშავე! თქვენ კი ისე შემხვდით...

— კნეინა ელენე, ერთი ბიბძანეთ, როგორ უნდა შევხვედროდით იმას შემდეგ, რაც თავს გადამხდა თვითონ განსაჯეთ! თქვენ ხომ ერთი წამითაც არ წარმოგიდგენიათ ჩემი მაშინდელი მდგომარეობა, არ შეგიწუხებიათ თავი იმ ფიქრით, თუ როგორ იმოქმედებდა ჩემზე ის წერილი, რომლითაც თქვენ ისურვეთ ჩვენი კავშირის გაწყვეტა... იცით, რა წამება იყო ჩემთვის? აუწერელი. ჩემი ახალგაზდობა მოიწამლა. ახლა კი თქვენ მისაყვედურებთ—განა შემეძლო სხვანაირათ შეგხვედროდით?

ელენემ თვალებზე ხელები მიიფარა, ვხედავდი იტანჯებოდა...

ირაკლი!—შეწუხებული ხმით შემომძახა და ორივე ხელები გამომიშვირა—მაპატიე, გეფიცები, უდანაშაულო ვარ. გევედრები! მე არ შემეძლო ისე არ მოქცეულიყავი, ირაკლი!.. კვლავ გავიგონე მისგან ჩემი სახელი! ისეთივე გრძნობით, ისევ ის ტკბილი ალერსი... ერთი წამით გონება დავკარგე, ავღელდი მზათ ვიყავ ყველაფერი მეპატიებია, ყველაფერი დავიწყებისათვის მიმეცა, მაგრათ ჩამეკრა გულში და გულწრფელათ გამეზიარებია მისი გრძნობა, მაგრამ... ვსძლიე თავს...

— რა უნდა გაპატიოთ, კნეინა ელენე?—ისევ ცივათ მივუგე მე.—რა მნიშვნელობა აქვს თქვენთვის ჩემს პატიებას—დღეს ვხედავთ ერთმანეთს და აწი შეიძლება ვეღარც შევხედავთ. უცნაურმა შემთხვევამ გაგახსენათ თქვენი დანაშაული, მომაცილებთ თუ არა თვალს, ისევ ბედნიერი, კმაყოფილი იქნებით. მე თვითონ ვიხდი ბოდიშს, რომ დროებით დაგირღვიეთ სიმშვიდე... ჩემის ფიქრით, სჯობს შევურიგდეთ ბედს, რადგან ჩვენი ცხოვრება სულ სხვადასხვა გზით მიდის. ოდესღაც თქვენ მითხარით—ორი მარტოობის მაძიებელნი ერთმანეთისათვის უცხონი არ არიანო... (ამ სიტყვებზე ელენემ მწარეთ შეიჭმუხნა) მეც მგონა—ჩვენ ერთმანეთისთვის უცხო არ ვიყავით, მაგრამ... დღეს კი ამას ვეღარ ვიფიქრებ. თქვენთვის გაუგებარია ჩემი შრომით მოპოვებული წყნარი მდგომარეობა, ისე როგორც ჩემთვის თქვენი ბრწყინვალე, განცხრომითი ცხოვრება...

თავჩაღუნული მისმენდა ელენე. მი ვჩერებოდი მის შეწუხებულს, ლამაზ სახეს, რომელიც მაგონებდა ბედნიერ წარსულს... რამდენიც უფრო ვუკვირდებოდი, იმდენათ მეტათ ვრწმუნდებოდი—რა ნაირათ იტანჯებოდა. დავაპირე ადგომა.

— იქნება მართლა გჭირდებათ ჩემი დახმარება, როგორც აქიმისა?—შევეკითხე მე.

— არა, გმადლობთ—მოწყენილათ მითხრა მან, ნუ შესწუხდებით... მე არაფერი მტკივა...

უხალისოთ გამომიწოდა ხელი.

— მშვიდობით... შეგიძლიათ მიბძანდეთ!.. და აღელვებულ ტუჩებს დაუწყო კვნეტა.

გულის ტკივილით გამოვართვი ხელი. მივიტანე ტუჩებთან... არ მინდოდა მომეშორებია... მაგრამ უცბათ გამოვეთხოვე და წამოვედი. გული საშინლათ მიცემდა... ფეხებს ძლივს მივათრევდი... არ გამივლია რამდენიმე ნაბიჯი, მომესმა გულამომჯდარი ქვითინი. უცბათ შემოვტრიალდი და მივეშურე.

— ელენე!

მან სწრაფლათ ასწია თავი... შეწუხებულ სახეს მხიარულების სხივი მოეფინა.

— ელენე, და არა კნეინა ელენე!—აღტაცებით შემომძახა მან და მაგრათ ჩამკიდა ორივე ხელები—მაშ მე ისევ ის ელენე ვარ შენთვის... ისევ ისე ტკბილათ მეძახი სახელს...

შენი ჭირიმე!.. გაიმეორე გამაგონე, მაგრძნობიე, ჩემო სიცოცხლე ის ბედნიერი დრო, როდესაც ელენეს მეძახოდი. ბედნიერებით დამთვრალი ელენე ნაზი ალერსით მიწვევდა თავისკენ...—ვეღარ შევსძელი... მოთმინების ფიალა დაიწურა. გიჟივით მივიჭერ, მაგრათ ჩავიკარ გულში და მხურვალეთ დავეწაფე მის ათრთოლებულ ბაგეს...

— მიყვარხარ... ისევ მიყვარხარ... მხლოდ შენ.., შენ, ჩემო პირველო!

უაზროთ ჩავსჩურჩულობდი ელენეს და აღარაფერი გამეგებოდა...

———

მთელი ღამე გაბოროტებული დავდიოდი ოთახში... ერთი წამითაც არ დამიხუჭია თვალი ელენეს სიყვარული და ცოლშვილის მოვალეობა ერთმანეთში გადახლართული მოსვენებას არ მაძლევდა...

არ ვიცი სით გადასწევდა ჩემი აშფოთებული ცხოვრების სასწორი... უეცრათ გადავსწყვიტე მოვშორებოდი საბედისწერო აგარაკს, სადაც სამუდამოთ დავსტოვე სულის სიმშვიდე.

დილით უკვე მივემგზავრებოდი შინისკენ... ჩემი სული კი ისევ ლამაზ აგარაკს თავსდასტრიალობდა...

**თეოდოსია ჯაფარიძისა.**

## სავაჭრო სახლი
## ი. გოკიელის შვ—ბის
ქუთაისში.

ერთად ერთი წარმომადგენელი მთელ ამიერ კავკასიის ცნობილ აბრეშუმის ჭიის თესლის

## ხ. ხრისტოდულიდის

ამით აცნობებს პატივცემულ მეაბრეშუმეებსა და თესლის გამყიდველებს, რომ ვინც ახლავე პირველ ... თესლს არა ნაკლებ ერთ ყუთსა, რომელშიც 200 კოლოფია ექვს მისხლიანი. **მათ დაეთმობა კოლოფი 1 მ. 70 კ.** ... ყუთზე 40 მანეთი, დანარჩენი ფული, როდესაც თესლს წაიღებენ. შეკვეთა თესლისა მიიღება ... ვაჭრობში, მიხაილოვის ქუჩაზე. ფარსანაყანევისათვის, შვანთვისთვის, ქვიტირისთვის, მაღლაკისთვის, პატრიკეთისთვის, საყულიასა ... სვირისთვისა და წყალტუბოსათვის აგენტათ გამყიდველებისათვის დანიშნულია დევანტი ექვთიმეს ძე ნუცუბიძე, რომელიც ცხოვრობს ფარცხანაყანევში იარმურკაში.

დეპოლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და შპალერის ქ. ქუთაისში.

## ფ. ს. ფილიპოვისა.
ალექსანდრეს ქუჩაზე

მოიპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ლუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, ტაკზე საფენი „ლინოლიუმი“, სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი ძვირფასი საოჯახო ნივთი, აუარებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის ... ფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.

პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი. №


დიდებულო, საჩუქარი, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ იგი მარტო ჩემი საკუთრება იყოს.

— მხოლოდ შენი? რა უნდა იყოს ასეთი?—გაუკვირდა დიდებულს.

— ქალმა გაიღიმა, თვალი დიდებულს მიაშტერა და უთხრა.

— მსურს, ის ჯილდო მუდამ ჩემთან იქნეს, მას არ სჭირდებოდეს არც თან ტარება, არცა მალვა; იყოს უფასო და მსოფლიოს ყოველი განძის უძვირფასესი; რომ არავის შეეძლოს მისი წართმევა, მე კი შემეძლოს მისი უხვათ დარიგება.

რომ მას მიყავდეს სიყვარულის სიძლიერე უმწვერვალეს წერტილამდი და მასთან სიძულვილსაც შობდეს.

დასასრულ, რომ იგი იცნობდეს ყოველგვარს ჩემს გრძნობასა და მისწრაფებას, ანუგეშებდეს მაშვრალ სულს, ასაჩუქრებდეს მეგობრობასა და აცისკროვნებდეს სიყვარულს.

— მივხვდი, რაც გწადია შენ!—სთქვა მაგადევამ

და მან შექმნა **კოცნა.**

კოცნა დარჩა ქალის საკუთრებათ, მის საუკეთესო და სანეტარო განძათ. მასში შლის ის თავის გრძნობასა და პოულობს ნეტარ წუთებს. ქალმა გადასცა ეს კოცნა კაცობრიობას, და ახლა სიყვარული კოცნის ბაგეს, მფარველობა—შუბლს, მორჩილება—ხელს, მეგობრობა—ლაწვს, სინაზე და ლმობიერება—თვალებს.

18. IX. Zcurra.

## კარგი საქმე.

ჩვენს მიყრუებულ სოფლებში მოიძებნება გულკეთილი მოამაგენი. ისინი მუდამ მზათ არიან დახმარების ხელი გაუწოდონ თავის მოძმეს და ხმა ამოუღებლათ სამსახური გაუწიონ ყოველ საერთო საქმეში, ერთი ასეთ პირთაგანია სოფელ ზედაილემს მცხოვრები ვიაჩესლა ანთაძე. გაიგო თუ არა მან, რომ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსების აზრი დაიბადა, მაშინვე შეაერთა ამ საქმით დაინტერესებული პირნი და არა ჩვეულებრივი მუყაითობითა და შრომით საქმე სისრულეში მოიყვანა. რომ უბინობის გამო ჭოჭმანით საქმე არ გართულებულიყო, ვიაჩესლამ დაუთმო ერთი ოთახი თავის საკუთარ სახლში და აღუთქვა ბიბლიოთეკა-სამკითხველოს—ბინას მუდამ ის დაუთმობს. მართლაც, დღიდან დაარსებისა იგი ბ. ალ. გორგაძესთან ერთად პირნათლათა და მუყაითად ასრულებს თავის აღთქმასა და მოვალეობას. ახლა რამდენი გლეხი და მათი შვილები ეცნობიან ქვეყნიერობას ამ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს საშვალებით...

ამ ზაფხულს, რამდენიმე მოსწავლე ახალგაზდამ განვიზრახეთ გაგვემართა, საქველმოქმედო მიზნით, (შკოლის, ბიბლიოთეკის და სხვა) წარმოდგენები და ლექციები. მაგრამ ძნელი გახდა თანაგრძნობა და სახლის შოვნა. აქაც გაჩნდა ვიაჩესლა და ჩვეულებრივი თანაგრძნობითა და მუყაითობით საქმე მოგვაგვარება. დაგვითმო სახლი, განათება, მოწყობა, და შეძლება მოგვცა გადაგვეშალა ჩვენი თანასოფლელებისთვის ჩვენი სწავლის ნაყოფი. ხელი შეუწყო ჩვენი ახალგაზდური სიმპატიურიის მისწრაფებათა განხორციელებას. ამისთვის ვუძლნი ჩემის მხრით, თანამოძმეთა და მასთან თანასოფლელთა მაგიერ ულრმეს მადლობას და სურვილს, რომ თავისიანთ სასარგებლოთ კვლავაც განეგრძოს ასეთი მოქმედება.

ამხ. მონდ. სტ. გრ. გორგაძე.

## თეატრი და ხელოვნება.

### ედმონდ კინი.

შაბათი, 5 ოკტომბერი.

კინი საკმაოთ ძველი პიესაა, ჩვენთვის მაინც, ქუთათურებისთვის. იგი ბევრჯერ დადგმულა ჩვენ სცენაზე და ამიტომ პიესის შინაარსს არ შევეხებით. მთელი სულიერი ტრაგედია პიესისა ინგლისის ჰენიოსი მსახიობის ედმონდ კინის გარშემო ტრიალებს, რომელიც უბრალო ჯამბაზიდან შესანიშნავი მსახიობი შეიქნა, მიაწია დიდებას, სახელს, მაგრამ მაინც სცენაზე და ცხოვრებაშიც სიტკბოზე მეტი მწარე სვა“. როგორც თითქმის ყოველთვის, ისე ახლაც მშვენიერი იყო ამ როლში ბ-ნი მესხიშვილი, თუ კი რასაკვირველია, მხედველობაში არ მივიღებთ იმ დეფექტებს, რასაც როლის უცოდინარობის გამო ქონდა ადგილი. კარგი იყო სოლომონ სუფლიორის როლში კ. მესხი, რომელმაც ბევრი აცინა საზოგადოება. ა. ქიქოძის ასული ელენეს როლს თამაშობდა, მაგრამ ზოგჯერ მისი-მიხვრა მოხვრას ან თავის გაქნევას თუ ვხედავდით თვარა, ნახევარიც არ გაგვიგონია იმის, რასაც ლაპარაკობდა. ასევე დაემართა ასათიანის ქალსაც „ემას“ რომლის მნიშვნელოვანმა პოზებმაც ამ უმნიშვნელო როლში არასასურველი შთაბეჭდილება შექნა. ავათმყოფობის გამო არადელ იშხნელს როლიც დავიწყოდა... კარგი იყო—რეჟისორს ყურადღება მიექცია იმისთვისაც, რომ კინის ავათმყოფობის ამბავის გამოცხადება საპირფარეშოდან კი არა სცენიდან იყო საჭირო!

ი—ი.

## პასუხის პასუხი ბ. „ლელოსი.*)“
### სამტრედია.

ბატ. რედაქტორო!

უმორჩილესათ გთხოვთ ამ ჩემს საპასუხო წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენ პატივცემულ ორგანოში.

„იმერეთის“ 146 ნომერში ბ. „ლელო“ მრავალკითხვითი გაკვირვების ნიშნებიანი წერილით ეხება ჩემს პიროვნებას და უმართებულოთ ჩირქს მცხებს. ყველასთვის აშკარაა, რომ შინაარსი ამ წერილისა განმეორებაა წინანდელი „ლელოს“ წერილის, მხოლოდ ამ შემთხვევაში დასჭირებია მას ჩემს საწინააღმდეგოთ. შეიძლება გარკვევით არ წაუკითხავს ბ. „ლელოს“ ჩემი ახსნა განმარტება? ცოტაოთი გაგებული კაცი უნდა დაკმაყოფილებულიყო ჩემი ახსნა განმარტებით. უმართებულოთ ადამიანის გასვრა არ არის სასურველი. საუბედუროთ ბ. „ლელო“ ვერ ურიგდება სინამდვილის გამომჟღავნებასა და განაგრძობს განაწყენებ—გადაყენებულ გამგეობა—საბჭოს წევრების მფარველობას. აშკარაა ეს 4 პირი (სევერიან კრავეიშვილი, დიომიდე გელაზონია, გიგო ჯანელიძე და კიმოთე კოპალეიშვილი.) არ ცხრება. საზიზღარ საშვალებებს ხმარობენ მათი პრესტიჟის აღსადგენათ. ამ მიზნით საძრახისი „დონოსიც“ გამოაცხვეს: ერთი სიტყვით არ ერიდებიან ჭორიკანულ მითქმა-მოთქმებს. ეს თვით ლელომაც უწყის, მაგრამ სჩანს არავითარ ანგარიშს არ უწევს მათ მოქმედებას. და რედაქციაც შეცდომაში შეყავს. ბ-ნი „ლელო“ ბძანებს თავის წერილში: ნუ იწყენთ ბ. დიმიტრი, და, მოგახსენებთ, რომ გრ. უ—ძემ მრავალს სხვას „წააბორძიკებია“ ფეხი და როგორც თქვენი (??) წერილიდან ჩანს ახლა თქვენთვის მოუცლია“.

რად დაგჭირდათ ასეთი ცილისწამება და მკითხველის გაბიაბრუება? მოკლედ მოგახსენებთ მე არავის ვემონები და ვერც ვერავის შეუძლია ჩემი წაბორძიკება. მე მხოლოდ, როგორც საბჭოს თავმჯდომარე, „იმერეთის“ № 143-ში ახსნა განმარტება მოვათავსე. ამით არავის ქომაგობა არ გამიწევია და არც შემეძლო ვინმეს ხათრისთვის სინამდვილე დამეფარა. მიუდგომლათ მოგახსენებთ. გრ. ურუშაძე ვინმეს წამბორძიკებელი რომ ყოფილიყო ამდენხან საკრედიტო ამხანაგობის წევრები შესაფერ დალს დაასმევდენ, მაგრამ მისი პირდაპირობის მეოხებით საზოგადო კრებებზე წევრები ყოველთვის ნდობას უცხადებენ. ჩაუფიქრდით ბ. ლელოვ, 4 განაწყენებული პიროვნების ჭორიკანული ქცევის ყურადღების მიქცევა სჯობია თუ 300 წევრთა შეხედულების დაფასება.

ვისი რა ბრალია თუ გრ. ურუშაძეს ზოგიერთი პიროვნებები ვერ უყურებდენ გულდამშვიდებით. ეს ხომ უმნიშვნელო უმცირესობაა. მე არ შემიძლია ამ შემთხვევაში არ გაუწიო ანგარიში საზოგადოების აზრს. შეიძლება რომ გრ. ურუშაძეს საკრ. ამხ. წევრები ნდობით ეპყრობიან, ამან მისი პირადათ უკმაყოფილო წევრები გააბრაზა? ეს რა ჩემი ბრალია. გრ. ურუშაძე მიუდგომლათ მუშაობდა ამას მოწმობს საკრედიტო ამხანაგობის წევრთა საზოგადო კრებების ოქმები. იქნებ „ლელო—მევარ“-ეებს არ მოსწონდეს მისი პიროვნება. ეს რა საზოგადოების ბრალია? შემდეგ „ლელო“ ამბობს „ბ. გრ. უ—ძის ხელით ნაწერი წერილი თქვენ არც-კი წაგიკითხავთ და ისე გულუბრყვილოთ მოაწერეთ ხელი, თორემ ასე რიხიანათ არ დაუწყებდით ქომაგს ბ. უ—ძეს“. მოდი და ნუ გაგიკვირდებათ ლელოს ქცევა. „კარგი გამომძიებელი“ ყოფილხართ ბ. ლელოვ. გადაჭრილათ ამბობთ, წერილი „იმერეთის“ № 143—ში მოთავსებული მე არ მეკუთვნის და მისი შინაარსის არაფერი გამეგებოდეს. ამ შემთხვევაში ლელოს პასუხს არ გავსცემდი, მაგრამ საზოგადოების საყურადღებოთ ვამბობ, რომ ვინ მემ არ შეიტანოს მართლა ჩემში გულუბრყვილობა ამ შემთხვევაში, წერილი მოთავსებული იმერეთის“ 143-ში თავიდან ბოლომდის მეკუთვნის მე და ნამდვილათ ჩემ მიერ ხელმოწერილა. ამ შემთხვევაში ლელოს ძიებას არ შეუძლია კრავეიშვილ—გელაზონიებს მფარველობა გაუწიოს. რათ გგონიათ ბ. ლელო, რომ თქვენს მეტს არ შეუძლია საპასუხო წერილის დაწერა და „მართლის თქმა“? ვიმეორებ არავის მე ქომაგობას ამ შემთხვევაში არ ვუწევ და არც გამიწევია, არამედ ვსთქვი სინამდვილე, როგორც საქმესთან ახლო მდგომმა კაცმა. დანარჩენი ნაწილები ბ. ლელოს წერილისა განმეორებაა მისი ძველი კორესპონდენციის, რომლის გასაბათილებლათ შეუძლია მკითხველმა საზოგადოებამ ისარგებლოს ჩემი ახსნა განმარტებით. „იმერეთის“ № 143-თ. ამ შემთხვევაში განმეორებით შეწუხდება“ მკითხველი საზოგადოებაც და რედაქციაც. დასასრულ ვიმეორებ, ბ.ბ. დიომიდე გელაზონიას, სივერიანე კრავეიშვილის, გ. ჯან—ძის და კიმოთე კოპალეიშვილის, პიროვნება საკმაოდ გამორკვეულია საძრახის „დანოსის“ წერით. მათ არ შეუძლია გადალახონ საზოგადო კრების დადგენილებები. არ შეფერის ცოტათი მაინც ზნეობრივ კაცს მათ ფეხის ხმას აყვეს, რადგანაც მათ შეუძლია მეტი დათვური სამსახური გაუწიოს მფარველს ვიდრე მე სხვას.

სამტრედიის საკრედიტო ამხანაგობის საბჭოს თავმჯდომარე დ. კანდელაკი.

*) იბეჭდება კანონთა დებულ. (მე XIV ტომის 114-ე დამატ. მუხლის) მე-12-ე მუხლ. ძალით.

ამასთან რედაქცია საჭიროთ სთვლის და. სმინოს, რომ ბ. თავჯდომარის კანდელაკის წერილი სრულიად უცვლელათ იბეჭდება. რედ.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშვალებით ჩემი გულითადი მადლობა მოვუცხადო ქალაქის მოურავს ბ-ნ ჩიქოვანს და აქიმ გ. ალშიბაიას, რომელთაც ხუთ-ხუთი მანეთი შემომწირეს მოტორის შესაძენათ საფრენი მანქანისათვის.

ავიატორი ბ. ქებურია.

რედაქ.-გამომცემელი გრ. ერ. ჭელიძე.

## რკინის გზა

| ქუთაისიდან მიდის. | |
|---|---|
| ტფილისს: | სახალხო 5 ს. 10წ. დ.; სახ 10 ს. 6 წ. დ.; ფოშტ. 11 ს. 55 წ. დ.; სახ. 11 ს. 27 წ. ღ. |
| ბათომს: | სახ. 5 ს. 10 წ. დ.; სახ. 7 ს. 5 წ. საღ.; სახ. 11 ს. 27წ. ღ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. დ. |
| ფოთს: | საავარაკო 4 ს. 22 წ. დ.; სახალ. 5 ს. 10წ. დ.; ფოშტ. 5 ს. 21წ. საღ.; სახ. 7 ს. 56 წ. საღ. |
| შორაპანს: | საავარ. 4 ს. 57 წ. დღ. |
| ტყიბულს: | სახ. 7 ს. 50 წ. დილ.; სახ. ... 45 წ. დღ. |

| ქუთაისს მოდის. | |
|---|---|
| ტფილისიდან: | სახ. 7 ს. დილ.; სახ. 8 ს. 2... საღ.; ფოშტ. 6 ს. 56 წ. სა... სახ. 1 ს. 26 წ. ღამით. |
| ბათომიდგან: | ფოშტ. 1 ს. 20წ. დღ.; სახ. 1... 14 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ. ღ.; 7 საათ. დილ- |
| ფოთიდან: | საავ. 10 ს. 3 წ. დილ.; სახ. ... 20 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ. |
| შორაპნიდან: | საავ. 9 ს. 31 წ. დილ. |
| ტყიბულიდან: | სახ. 5 ს. 11 წ. დღ. სახ. ... საათ. 9 წ. დილ. |


## ახალი უვნებელი საშვალება რძე პირსახისათვის „ბეტტი“
ფარმ. ს. ს. ნადარეიშვილის.

არბილებს და ასუფთავებს სახეს; სპობს სრულებით ფერმჭამლებს; გადაყავს ნამზეური და ასწორებს პირის ნაოჭებს. ვურჩევ აგრეთვე მამაკაცებს, ვინც პირს ხშირათ იპარსავს და ექერცლებათ სახე. მოითხოვეთ ყველა აფთიაქში და აფთიაქის მაღაზიაში. უმთავრესი საწყობი ქ. თფილისში, ლიბიხის აფთიაქი, ს. ს. ნადარეიშვილი. ფასი ერთი მანეთი. აფთიაქებსა და აფთიაქის მაღაზიებს სალავათო.

№ 11.

ხრესილი — სამკურნალო აბანო — მეტად იაფი ფასები და კარგი მომსახურება
მეირფასი მთის ჭაერზე
ძმ. ყორყოლაძეების

შემოწმებულია და გამოირკვა, რომ ეს მადნეული წყალი კურნავს სხვადასხვა სენისაგან, როგორიც არის: ქარები (რევმატიზმი), კუჭისა და თავის ტკივილი, ნერვების სისუსტე და სხვ. წყალი ცივი და თფილიც. აქვეა სუფთა ბინა და სასმელსაჭმელი, აბანო მუდმივ განაგრძობს მუშაობას. ხრესილის სადგურიდან დაშორებულია ორმოცდაათი საჟენის მანძილზე.

№ 13.

## ვ. გორდაძისა და ს. წერეთლის
ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომისა და სოხუმის ოლქ... უმაღლესა სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაევ-მალცევის ბემსკის მ... ბის ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მისის ყუთზე ნიშანს „БЕМСКО...

რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:

საუკეთესო ქარხნებისგან მიღებული რკინეული საქონელი: კარის, ფანჯრის და ლუმელის მოწყობილობანი; სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი სალებავი წამალი, ელექტრონის ზარის მოწყობილობა, შპალიერი, ცემენტი, ემალიანი ჭურჭელი, ასფალტი და სხ.

ვაჭრობა პარტიათ და წვრილათ ხელმისაწდომ ფასათ.

ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65.


ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის ქუთაისში.